ეფექტური ბიზნეს საქმიანობის პლატფორმის ჩამოყალიბება ბოლნისში, საქართველო

მერები ეკონომიკური ზრდისთვის საპილოტე პროექტი

პროექტის აღწერილობა

პროექტი მოკლედ
დროის პერიოდი: 2018-2021
ბიუჯეტი: 380,000 ევრო (ევროკავშირის წვლილი - 320,000 ევრო)
პარტნიორები: ბოლნისის მუნიციპალიტეტი, რეგიონული განვითარების ცენტრი (RDC)
გეოგრაფიული დაფარვა: ბოლნისის მუნიციპალიტეტი და მისი 15 ადმინისტრაციული ერთეული (მათ შორის, ბოლნისისა და კაზრეთის დაბები და 13 სხვა თემი)
სამიზნე ჯგუფები: ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ინდივიდუალური ფერმერები და ადგილობრივი მეწარმეები, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SMEs), პროფესიონალები; საოჯახო ტიპის სასტუმროები, ეთნიკური უმცირესობები, ქალები და ახალგაზრდები, სოციალურად მოწყვლადი ჯგუფები, სასოფლო და ურბანულ ტერიტორიებზე არსებული ადგილობრივი თემები

კონტექსტი



ბოლნისის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონში, აღმოსავლეთ საქართველოში. იგი შედგება 15 ადმინისტრაციული და ტერიტორიული ერთეულისგან და სულ იკავებს დაახლ. 80,700 ჰექტარის ტერიტორიას. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქ. ბოლნისი, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 63 კმ-ში, ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრიდან - ქ. რუსთავიდან 67 კმ-ში და მთავარი სარკინიგზო ხაზის მარაბდას მონაკვეთიდან 25 კმ-ში. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს დაახლ. 55,000 ადამიანი (მათგან დაახლ. 34,000 - სოფლებში), მათ შორის, დაახ. 27,000 ქალი. ბოლნისი ჯერ კიდევ დიდწილად მიიჩნევა სასოფლო დასახლებად, სადაც მოსახლეობის უმეტესობა ჩართულია სოფლის მეურნეობაში. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 60%-ზე მეტი თვითდასაქმებული ფერმერია, რომლებიც ჩართული არიან მესაქონლეობაში, მარცვლოვნების წარმოებაში, მებაღეობასა და მეღვინეობაში.

პროექტის მიზანი და ამოცანები

პროექტის მთავარი მიზანია ბიზნეს გარემოსა და ადგილობრივი მეწარმეების მართვის უნარების გაუმჯობესება მყარ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებისა და საჯარო-კერძო დიალოგის ხელშეწყობით სასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვების წახალისების გზით, ქალებსა და ახალგაზრდებზე ფოკუსით. პროექტს აქვს შემდეგი ***კონკრეტული ამოცანები***:

1) ბიზნეს კლასტერის დაფუძნება იმ მიზნით, რომ ბოლნისი გარდაიქმნას რეგიონულ **აგრო-ბიზნეს ცენტრად**;
2) ბოლნისის ტურისტული ინფრასტრუქტურისა და ბოლნისის, როგორც ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილის, მარკეტინგის გაუმჯობესება;
3) მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივ საწარმოებსა და ინდივიდუალურ ფერმერებსა და მეწარმეებს შორის თანამშრომლობისა და კავშირების ჩამოყალიბების გაუმჯობესება იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მარცვეულის წარმოება და გაუმჯობესდეს რეგიონულ ბაზრებზე წვდომა.

პროექტის აქტივობები
პროექტით წახალისებული ***კერძო-საჯარო დიალოგი*** მხარს დაუჭერს ტურიზმის, ასევე, აგროგადამუშავების, ვაჭრობის, დასაწყობების, შეფუთვის, ლოგისტიკისა და ტრანსპორტირების

სფეროებში ჩართული ინდივიდუალური მეწარმეებისა და ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ერთობლივ ქმედებებსა და მათ შორის კავშირების ჩამოყალიბებას.

განსხვავებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების კლასტერის შექმნით სტიმულირდება ადგილობრივი ბიზნეს განვითარება. ეს აქტივობა წაახალისებს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს, რათა მათ პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან შესაფერისი მარკეტინგისა და კავშირების დამყარების გზით გააფართოვონ საკუთარი წამოწყებები.

აგრობიზნეს ცენტრი განვითარდება წარმოების, გადამუშავებისა და ვაჭრობის ყველა ეტაპზე საუკეთესო შედეგის თავმოყრის მიზნით. იგი უზრუნველყოფს იმას, რომ ადგილობრივი მწარმოებლები ან მათი ასოციაციები/კოოპერატივები შეძლებენ გონივრულ საბაზრო ფასებში უფრო მეტი საქონლის გარანტირებულად გაყიდვას და საკუთარი შემოსავლის ზრდას.

საერთო ჯამში, პროექტის აქტივობები მოიცავს:

1. კვლევის ჩატარება წარმოების შესაძლებლობების დადგენისთვის, ადგილობრივად წარმოებულ საქონელზე მოთხოვნის განსაზღვრისთვის, მიწოდების წყაროების იდენტიფიცირებისა და საჯარო-კერძო დიალოგისთვის მდგრადი არხების ჩამოყალიბებისთვის;
2. **აგროცენტრის ბიზნეს მოდელის** განვითარება;
3. აგროცენტრის განვითარებისა და განთავსებისთვის ფიზიკური ინფრასტრუქტურის მომზადება იმ მიზნით, რომ ბოლნისის სოფლის მეურნეობის მცირე ბაზარი გადაიქცეს რეგიონთაშორისი ვაჭრობის ძლიერ ცენტრად;
4. ცოდნის გაზიარებასა და ერთობლივ საკომუნიკაციო მექანიზმებში დაინტერესებული პირების ჩართვა, ტურიზმის სექტორში ჩართული აქტორების (საოჯახო ტიპის სასტუმროები, სასტუმროები და სხვ.) შესაძლებლობის გაზრდა;
5. მეზობელი რეგიონებიდან და ქვეყნებიდან მყიდველების ან მოვაჭრეების მოზიდვის მიზნით მარკეტინგის სტრატეგიის დანერგვა.

ადგილობრივი ფერმერებისთვის, ქალების, ახალგაზრდებისა და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ლოგისტიკურ და სატრანსპორტო სერვისებს იმ მიზნით, რომ მათ ჰქონდეთ აგროცენტრსა და მუნიციპალურ ბაზრებზე წვდომა. აგრეთვე, ფერმერებთან, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან და მოვაჭრეებთან ერთად, სოციალური მედია პლატფორმების საშუალებით, ბოლნისის ერთეულები დააფუძნებენ პირდაპირი შესყიდვების სისტემას.

მუნიციპალიტეტი გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას რეგიონის კატერინენფელდის ტერიტორიაზე, რათა ადგილობრივი ნაკეთობების, პროდუქტებისა და სუვენირების პატარა მაღაზიების დაფუძნებისა და განვითარებისთვის ჩამოყალიბდეს ფიზიკური გარემო. ოჯახებისა და ადგილობრივი მეწარმეებისთვის ეს გაზრდის დასაქმების შესაძლებლობებს და გააჩენს შემოსავლის ახალ წყაროებს.

მოსალოდნელი შედეგები

- ადგილობრივი მწარმოებლების და საცალო მოვაჭრეების პროდუქტიულობა გაიზრდება 10%-ით, ოჯახების შემოსავალი - 10-15%-ით;
- მუნიციპალიტეტის **3,500** ოჯახი და ადგილობრივი მცირე და საშუალო ზომის საწარმო ჩაერთვება ვაჭრობის, კომერციისა და ტურიზმის სექტორებში;
- სულ მცირე **1,000** ეკონომიკური აქტორი ინტეგრირდება ბიზნეს კლასტერში ბოლნისში;
- მუნიციპალიტეტში დასაქმება გაიზრდება სულ მცირე 3%-ით, ახალგაზრდების დასაქმება - სულ მცირე 5%-ით.

პროექტი ბოლნისის მუნიციპალიტეტში დანერგავს ინოვაციური ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და ბიზნესის სტიმულირების გეგმებს, და უზრუნველყოფს ბაზრებზე უფრო მეტ წვდომას. მეზობელი მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი ბიზნესები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და თემები გააერთიანებენ თავიანთ მცდელობებს ახლადდაფუძნებული ბიზნეს კლასტერის საშუალებით. წახალისდება ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა რეგიონის ადგილობრივი ბიზნეს განვითარების ინიციატივებში.

საპილოტე პროექტი „ბოლნისში ეფექტური ბიზნეს საქმიანობის პლატფორმის ჩამოყალიბება“ ხორციელდება საქართველოში ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივა მოქმედებს 2017 წლის იანვრიდან, აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩარჩოში. ინიციატივის ზოგადი მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებში მერებისა და მუნიციპალიტეტების დახმარება იმ მიზნით, რომ მათ აქტიურად წაახალისონ ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივ დონეებზე. მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ ვებ-გვერდს – www.m4eg.eu.

ეს პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ეს პუბლიკაცია მომზადდა პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორ(ებ)ი და შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირის ხედვებს.